# კვლევა: კომუნალურების გადასახდელად მოსახლეობის თითქმის 40% ფულს სესხულობს



**ორგანიზაციამ „მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის“ (WEG) თემაზე – ენერგეტიკული სიღარიბე და მოწყვლადი მომხმარებლები საქართველოში, კვლევა ჩაატარა, რომელიც იმ საკითხების ანალიზს მოიცავს, სადაც აღნიშნული პრობლემა იკვეთება.**

კვლევაში საქსტატის, ასევე სხვადასხვა ფოკუს ჯგუფების მონაცემებზე დაყრდნობით მოცემულია მონაცემები, რომელიც ენერგეტიკული რესურსების მოხმარებასთან დაკავშირებით მოსახლეობის შესაძლებლობებს ზომავს. ერთ-ერთი მათგანი კომუნალური დანახარჯების გადასახდელად ფულის სესხების სიხშირეს ეხება.

როგორც WEG-ის კვლევაში, „კავკასიის ბარომეტრის“ 2017 წლის მონაცემებზე დაყრდნობით წერია, კომუნალურების გადასახდელად მოსახლეობის თითქმის 40% ფულს სესხულობს, სხვადასხვა პერიოდულობით. კერძოდ, ამ გზით კომუნალურ გადასახადებს ყოველთვიურად მოსახლეობის 8% ფარავს, ყოველ მეორე თვეს – 6%, უფრო იშვიათად კი – 24%.

რაც შეეხება დეფინიციას – ენერგეტიკული სიღარიბე, ორგანიზაცია განმარტავს, თუ რომელ საკითხებში ვლინდება ეს პრობლემა.

1. *„არსებული სუბსიდირების სქემების და დაზოგვის მეთოდების მიუხედავად, მაღალია ენერგეტიკული დანახარჯების წილი მთლიან შემოსავლებში. გადახდის ტვირთი განსაკუთრებით*

*მძიმეა ზამთრის თვეებში;*

2. *მოსახლეობის 99%-ისთვის ელექტროენერგია ხელმისაწვდომია, 68%-ისთვის კი გაზი, თუმცა რეგიონებში პრობლემას წარმოადგენს ძაბვის ცვალებადობით გამოწვეული ზარალი და გაუმართავი ინფრასტრუქტურა (ელექტრო სადენები და ბოძები, რომლებიც საფრთხეს უქმნის ადამიანების უსაფრთხოებას);*
3. *ენერგეტიკული სიღარიბის არსებობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს დაბალი ენერგოეფექტიანობის მქონე შენობები, რომლებიც ენერგიის ფლანგვას და კომფორტის დაბალ დონეს განაპირობებს;*
4. *არსებული ფულადი დახმარების სქემები გარკვეული ხარვეზების მატარებელია და არ არის გამიზნული გრძელვადიან პერსპექტივაში ენერგეტიკული სიღარიბის შემცირებისაკენ“, – ნათქვამია WEG-ის კვლევაში.*

bm.ge